ხონის მუნიციპალიტეტის მერის
2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ
ა ნ გ ა რ ი შ ი

მერიის ორგანიზაციული საქმიანობის სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის მერია არის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს დაქვემდებარებაში არსებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს მერის უფლებამოსილების განხორციელებას.

მერია 2024 წელში საქმიანობას წარმართავდა ,,საქართველოს კონსტიტუციის", ,,ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ" ევროპული ქარტიის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს, მოქმედი კანონმდებლობისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების შესაბამისად.

საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად ვთანამშრომლობდით სახელმწიფო ორგანოებთან, სახელმწიფო კანცელარიასთან, სამინისტროებთან, საქვეუწყებო დაწესებულებებთან, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან, ადგილობრივი წარმომადგენლობით ერთეულებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

მერი საერთო ხელმძღვანელობასა და კოორდინაციას უწევდა მერიის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას, სულ მერიაში ფუნქციონირებდა 8 სტრუქტურული ერთეული.

2024 წელში ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში მუშაობდა 70 საჯარო მოხელე. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებების ეფექტურად წარმართის მიზნით ფუნქციონირებდა 17 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ერთი - შპს.

საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფდა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლებზე დაკისრებული ფუნქციების დროულ და ეფექტურ განხორციელებასა და დოკუმენტბრუნვის აღრიცხვიანობის საჯაროობას.

ჩვენ მჭიდრო ურთიერთობას ვინარჩუნებთ მოსახლეობასთან, თითქმის ყოველდღე ვუზრუნველვყოფდით მოქალაქეებთან შეხვედრას. ასევე, არის შემოღებული მიღების დღეები, კერძოდ სამშაბათი და ხუთშაბათი 12 საათიდან-15 საათამდე.

2024 წლის განმავლობაში ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იყო 8 007 წერილი და კორესპოდენცია. მერიის შესაბამისმა სამსახურებმა დადგენილ ვადებში განახორციელეს მათზე რეაგირება, წერილების დაგზავნა, პასუხების მიწოდება ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის.

მერიაში საქართველოს კანონის "საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-40 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული იყო საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. 2024 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში სხვადასხვა უწყებებიდან, ორგანიზაციებიდან, ფიზიკური პირებიდან შემოვიდა 31 განცხადება, პასუხი დადგენილ ვადებში გაცემულ იქნა. ასევე წარმატებით მუშაობდა facebook გვერდი.

2024 წელს მუშაობას განაგრძობდა მერიის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. წლის განმავლობაში ჩატარდა ერთი სხდომა. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის პროექტი.

შიდა აუდიტისა და კონტროლის სფერო

შიდა აუდიტი არის დაწესებულების საქმიანობის გაუმჯობესებისა და მისი მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისაკენ მიმართული დამოუკიდებელი, ობიექტური და საკონსულტაციო საქმიანობა. შიდა აუდიტი ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირებისა და მერიის სამსახურების მიერ გაწეული საქმიანობის შეფასებას და ამ შეფასებაზე დაყრდნობით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რაც დაწესებულების ხელმძღვანელს ეხმარება მართვის პროცესების გაუმჯობესებაში.

2024 წელში მუშაობა წარიმართებოდა მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული, რისკ ფაქტორების შეფასების საფუძველზე შემუშავებული სტრატეგიული და წლიური სამუშაო გეგმების შესაბამისად, რომლებიც მიზნად ისახავდა მერიის მიერ დაფუძნებულ კერძო სამართლის იურდიული პირების ა(ა)იპ-ის საქმიანობის შესწავლასა და ანალიზს.

2024 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო ოთხი აუდიტორული ობიექტის შემოწმება და წლის განმავლობაში ოთხივე ობიექტში განხორციელებული იქნა ფინანსური, შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტორული შემოწმებები.

ეს ობიექტებია:

- ა(ა)იპ-ი ,,ხონის ინფორმატიკის ცენტრი''
- ა(ა)იპ-ი ,,ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი''
- ა(ა)იპ-ი ,,იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრი''
- ა(ა)იპ-ი ,,ხონის მთავარი ბიბლიოთეკა''

აუდიტორული შემოწმების მიზანია, გამოვლენილი იქნას აუდიტის ობიექტის მიერ წინა წელს გაწეული საქმიანობის დროს დაშვებული ნაკლოვანებები, შეფასებული იქნას რისკები და ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით გაცემული იქნას რეკომენდაციები, რომელთა დროული მოგვარება ხელს შეუწყობს აუდიტის ობიექტის დირექციას მათ წინაშე არსებული მიზნების მიღწევაში.

აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელში გაწეული საქმიანობის შეფასებისას გამოიკვეთა, რომ 2025 წელს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განხორციელებული აუდიტორული შემოწმებების შედეგად გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს, რაც კიდევ უფრო დაეხმარება აუდიტის ობიექტების ხელმძღვანელობას მათ წინაშე არსებული მიზნების მიღწევაში და მინიმუმამდე დაიყვანს მათი მხრიდან მარეგულირებელი ნორმების დარღვევის შემთხვევებს.

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის N19 დადგენილებით დამტკიცდა ხონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი. 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობა წლის დასაწყისისთვის განისაზღვრა 14223,7 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის გადასახადები 10 155,2 ათასი ლარი, გრანტები და მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 1528,5 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 480,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლება 2060,0 ათასი ლარი. გადასახდელები 10821,6 ათასი ლარი.

წლის განმავლობაში ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებებით, შემოსულობები განისაზღვრა 21653,1 ათასი ლარი. გადასახადები 10155,2 ათასი ლარი, გრანტები 10115,2 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 702,0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალი 680,0 ათასი ლარი.

2024 წელში ფაქტიური შემოსულობებმა შეადგინა 20821,333 ათასი ლარი. გეგმის 96,16%. გადასახადებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 10507,348 ათასი ლარი, რაც გეგმის 103,47 %-ა, გრანტებიდან მიღებული შემოსავალმა 9592,282 ათასი ლარი, რაც გეგმის 94,82 %-ა, სხვა შემოსავლებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 565,461 ათასი ლარი, რაც გეგმის 80,55%-ა, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავალმა შეადგინა 156,242 ათასი ლარი რაც გეგმის 22,97 %-ა.

გადასახდელები

2024 წლის დასაწყისისთვის ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენდა 14223,7 ათას ლარს.

ხარჯები 12597,0 ათასი ლარი ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდა 1575,3 ათასი ლარი.

ვალდებულებების კლება 51,4 ათსი ლარი.

2024 წელში ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გადასახდელების დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 23818,847 ათას ლარს.

- ❖ ხარჯები 14119,3 ათასი ლარი მათ შორის:
- ✓ შრომის ანაზღაურება 2668,2 ათასი ლარი,
- ✓ საქონელი და მომსახურება 3027,28 ათასი ლარი,
- ✓ პროცენტი 11,6 ათასი ლარი

- ✓ სუბსიდიები 6303,0 ათასი ლარი,
- ✓ გრანტები 21,0 ათასი ლარი,
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა 1 71,17 ათასი ლარი,
- ✓ სხვა ხარჯები 1017,03 ათასი ლარი.
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდა 9647,8 ათასი ლარი,
- ❖ ვალდებულების კლება 51,4 ათასი ლარი.

2024 წელში გაწეულმა ფაქტიურმა გადასახდელებმა შეადგინა 22 192,995 ათასი ლარი:

- ❖ ხარჯები 13569,271 ათასი ლარი , გეგმის 96,0% :
- ✓ შრომის ანაზღაურება 2603,904 ათასი ლარი, გეგმის 98.0 %
- ✓ საქონელი და მომსახურება 2790,382 ათასი ლარი, გეგმის 92.0%
- ✓ სუბსიდიები 6226,613 ათასი ლარი, გეგმის 99.0 %
- ✓ პროცენტი 10,091 ათასი ლარი, გეგმა 87,0%
- ✓ გრანტები 15.03, ათასი ლარი, გეგმის 72,0%
- ✓ სოციალური უზრუნველყოფა 1028,056 ათასი ლარი, გეგმის 96,0 %
- ✓ სხვა ხარჯები 895,193 ათასი ლარი. გეგმის 88.0 %
- ❖ არაფინანსური აქტივების ზრდა 8572,382 ათასი ლარი, გეგმის 89,0 %
- ❖ ვალდებულების კლება 51.34 ათასი ლარი. 100%

სახელმწიფო შესყიდვები

ინფორმაცია 2024 წელში განხორციელებული შესყიდვების შესახებ

- 2024 წელში სულ გამოცხადდა 84 ელექტრონული ტენდერი.
  - შედგა - 63 ელექტრონული ტენდერი, აქედან:
    - 25 - ელ. ტენდერი სახელმწიფო ბიუჯეტით: 14 - რგფ; 11 - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა;
    - 5 - გრანტი;
    - 22 - ელ. ტენდერი ადგილობრივი ბიუჯეტით.
  - არ შედგა - 13 ელ. ტენდერი - ტენდერში არცერთმა პრეტენდენტმა არ დააფიქსირა სავარაუდო ღირებულება.
  - უარყოფითი შედეგით დასრულდა - 7 ელ. ტენდერი.
  - შეწყდა - 1 ელ. ტენდერი.

- გამარტივებული შესყიდვის წესით დაიდო 234 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება;

  - მონეტარული ზღვრის დაცვით - 95
  - სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება - 70
  - ექსკლუზივი - 3
  - წარმომადგენლობითი ხარჯები - 42
  - ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - 5
  - დაყოფა გეოგრაფიული დაშორების პრინციპით - 13
  - გადაუდებელი აუცილებლობა - 6

- კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე გაფორმდა - 16 ხელშეკრულება.

- დაჯარიმებული იქნა 18 მიმწოდებელი და გადახდილია პირგასამტეხლო 34717.76 ლარის ოდენობით:

სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 2024 წელში განისაზღვრა 220,0 ათასი ლარით. საკასო ხარჯი 217,2 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა:

6,0 ათასი ლარით 5 ოჯახი, რომელთაც არ გააჩნდა საცხოვრებელი სახლი. მუნიციპალიტეტის მიერ დაქირავებული იქნა დროებით საცხოვრისი.

19500 ლარით, 10 ოჯახი რომლებსაც სტიქიური უბედურების (ხანძარი) შედეგად დაუზიანდა ან/და გაუნადგურდა საცხოვრებელი სახლი, ან სათავსო ნაგებობები.

1200.0 ლარით დაფინანსდა სოციალურად გაჭირვებული სტუდენტის სწავლის გადასახადი.

186,315 ათასი ლარით დაფინანსდა სოციალურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ 526-ს მოქალაქის სამედიცინო მომსახურების ხარჯები ნაწილობრივ ან სრულად.

2200,0 ლარით დაფინანსდა უპატრონო მიცვალებულების ან სოციალურად გაჭირვებული ოჯახებში გარდაცვლილი ოჯახის წევრის სარიტუალო ხარჯები. (6 მომართვა).

2000,0 ლარით დაფინანსდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული პირების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება. ოთხი ოჯახი თითოეული 500,0 ლარით.

2024 წელში მუნიცპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდა:

#	დასახელება	ათასი ლარი
	ა(ა)იპ ხონის კომუნალური სერვის-ცენტრი	1069,0
	ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური	192,6
	ა(ა)იპ ხონის საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება	2269,4
	ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი	170,5
	ა(ა)იპ ხონის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი	88,9
	ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	253,6
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	398,8
	ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკა	169,9
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	339,2
	ა(ა)იპ იპოლიტე ხვიჩიას სახელობის ხონის კულტურის ცენტრი	289,9
	ა(ა)იპ დავით კაკაბაძის სახელობის ხონის სამხატვრო სკოლა	89,9
	ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმი	101,8
	ა(ა)იპ საინფორმაციო ცენტრი ხონი	48
	ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სამსახური	175,6
	ა(ა)იპ მადლიერების სახლი	158,4
	ა(ა)იპ სათნოების სახლი	174,3

ინფრასტრუქტურის სფერო

2024 წელში სულ ხონის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი იყო 91 პროექტის განხორციელება ღირებულებით 7 192 846 ლარი.

,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვალის #23 დადგენილების შესაბამისად , 2024 წელში ხონის მუნიციპალიტეტში რგპფ-ს დაფინანსებით განხორციელდა 22 პროექტი.ძირითადად მიმდინარეობდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. სახელდობრ:

- სოფელ მათხოჯში მე-10, მე-17, მე-18 ქუჩების მოასფალტება
- სოფელ საწულუკიძეოში შათირიშვილებისა და დარსაველიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია
- გურამიშვილის ქუჩის მე-2 შესახვევის (ყოფილი აღმაშენებელის ქუჩა) მოასფალტება.
- სოფ. გოჩა ჯიხაიშში, ცაგარეიშვილების უბანში გზის მოასფალტება
- სოფ. ნახახულევის მე-5 ქუჩაზე ასფალტის საფარის მოწყობა
- მათხოჯის ადმ. ერთეულის სოფ. სუხჩაში გზის მოასფალტება
- მათხოჯის ადმ. ერთეულის სოფ. ლეფილიეში გზის რეაბილიტაცია
- სოფ. კონტუათში მე-3 ქუჩის რეაბილიტაცია
- სოფ. გუბში მე-14 ქუჩის მოასფალტება
- სოფელ ნახახულევში მე-8 ქუჩაზე გზის მოასფალტება
- ქ. ხონში, დევნილთა დასახლება აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაცია
- დევნილთა დასახლებაში სპორტდარბაზის რეაბილიტაცია
- სოფელ პატარა ჯიხაიშში, ბოკელავაძეების უბანში გზის მოასფალტება
- სოფელ დედალაური, ჩაის მეურნეობა, ტუნგოების დასახლებაში გზის მოასფალტება
- სოფელ დედალაურში ჭოლოკავების უბანში გზის მოასფალტება
- სოფელ დედალაურში კინწურაშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა
- სოფელ დედალაურში ჭელიძეების უბანში გზის მოასფალტება
- ქ. ხონში, გეგიას ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტება
- ქ. ხონში, სოლომონ მეორის ჩიხისა და გეგიას ქუჩის პირველი ჩიხის მოასფალტება
- ქ. ხონში, რუსთაველის ქუჩის პირველი ჩიხის მოასფალტება
- ქ. ხონში, დუმბაძის ქუჩის I ჩიხის მოასფალტება

სულ მოასფალტებული იქნა 18 644 გრძ/მ გზა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 283 844 ლარი, დასრულებულია 22 პროექტი.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში დასრულდა 53 პროექტი, საკასო შესრულებამ შეადგინა 478 078 ლარი, (აღსანიშნავია, რომ 8 078 ლარი წინა წლების ეკონომიის თანხას წარმოადგენდა).

მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაფინანსებით მიმდინარეობდა და მიმდინარე წელსაც გრძელდება სოფელ კინჩხაფერდიდან ასხის მთაზე მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები. სულ მოეწყობა 20 კმ გზა, ღირებულებით 3 283 570 ლარი. მათ შორის 2024 წელში მოეწყო 7 კმ გზა, ღირებულებით 1 000 000 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად გამოყოფილი თანხის საშუალებით განხორციელდა 14 პროექტი ღირებულებით 419 212 ლარი სახელდობრ:

- ხონის მუნიციპალიტეში 2024 წლის 5-6 თებერვლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისათვის სახურავის მასალის შესყიდვა.
- ხონის მუნიციპალიტეში 2024 წლის 5-6 თებერვლის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ინდივიდუალური სახლების დაზიანებული სახურავების სარეაბილიტაციოდ სახურავის (პროფფენილი) შესყიდვა.
- ხონის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფელ ჩაის მეურნეობის მეორე უბანში მდებარე N2 და N4 საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული სოფ.ივანდიდში მდებარე ვალერიანე ქათამაძის, ქ.ხონში რუსთაველის ქ.N102-ში მდებარე ქეთო სულაბერიძის და ქ. ხონში, დ.ბარათაშვილის ქ. N52-ში მდებარე ნათია კერძაიას საცხოვრებელი სახლების სახურავის რეაბილიტაცია.
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია (ექსპერტიზის დასკვნით).
- ხონის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 20, 22 და 26 ივნისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28-30 სექტემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, დედალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ჩაის მეურნეობის პირველ უბანში მდებარე მრავალბინიანი #3 საცხოვრებელი სახლის (ბაღი) დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28-30 სექტემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, დედალაურის ადმინისტრაციული ერთეულის ჩაის მეურნეობის პირველ უბანში მდებარე მრავალბინიანი #1 საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28-30 სექტემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მათხოჯის ადმინისტრაციული ერთეულის , სოფელ მათხოჯში მდებარე ადმინისტრაციული შენობის დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28-30 სექტემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, ქ. ხონში, სოლომონ მეორის ქ. #7-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 28-30 სექტემბრის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისთვის - 1145 კვმ. სახურავის შეძენა და მოწოდება.
- სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ მოსახლეობისათვის სახურავის შესყიდვა.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით განხორციელდა ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის ოთახების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 11 712 ლარი.

ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა 4 პროექტი ღირებულებით 458 500 ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტში სანაგვე ურნების შემოღობვის სამუშაოები.
- ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ გუბიდან სოფელ კონტუათამდე გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია.
- ხონის მუნიციპალიტეტში, დევნილთა დასახლებაში, რეკრეაციული პარკის მოწყობა.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით დასრულდა სოფელ გორდში საჯარო სკოლისა და ქალაქის #3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციის სამუშაოები. ამჟამად, მიმდინარეობს სოფელ მათხოჯის საბავშვო ბაღის მშენებლობისა და ქ. ხონში პირველი საჯარო სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ამავე პერიოდში მომზადებული იქნა დოკუმეტაცია 2025-2026 წლებში განსახორციელებელი პროექტების შესახებ.

საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-სა და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის #255 დადგენილებით დამტკიცებული „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობები“-ს შესაბამისად:

2024 წელში გაცემულია 17 მე-2 და მე-3 კლასის მშენებლობის ნებართვა (პირველი და მე-2 სტადია), ხოლო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა პირველ სტადიაზე 5 ობიექტისთვის.

მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადა გაუგრძელდა 1 ობიექტს:

მარტივი შეტყობინების წესით შეთანხმებულია 67 ახალი აბონენტის გარე ელექტრომომარაგების უზრუნველყოფისთვის ელექტროგადამცემი ხაზის, გაზმომარაგების ობიექტისა და ინტერნეტის უზრუნველსაყოფად ოპტიკურ-ბოჭკოვანი ხაზის მშენებლობა.

ასევე მარტივი შეტყობინების წესით შეთანხმებულია 26 პირველი კლასის შენობა/ნაგებობა.

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 აგვისტოს №18 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის დეტალური შეტყობინებით შეთანხმებულია სამი II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის და 2 დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობება.

აქედან შემოსულმა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ოდენობამ 2024 წლის სექტემბრის ჩათვლით ჯამში შეადგინა 33570 ლარი. მოსაკრებლის ოდენობა განსაზღვრულია ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №22 დადგენილებით.

ეკონომიკის სფერო

2024 წელში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დამატებითი ქონების სახით გადმოგვეცა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დავარეგისტრირეთ შემდეგი უძრავი ქონება

N	მისამართი და საკადასტრო კოდი	შენობა-ნაგებობა (ფართი კვ.მ)	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ფართი კვ.მ)
1.	ხონი,ჭანტურიას ქუჩა III შეს. N1 (ს/კ 37.07.38.722)	----	702.0
2.	ხონი, რუსთაველის ქ. N2-ის მიმდ. (ს/კ 37.07.38.987)	---	12.0
3.	ხონი, ჭავჭავაძის I ჩიხი (ს/კ 37.07.38.1020)	----	11.0
4.	სოფელი მათხოჯი (ს/კ 37.04.33.458)	----	96.0
5.	სოლომონ II-ის ქ. N7-ის მიმდ. (ს/კ 37.07.38.1022)	----	157.0

2024 წელში უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება

N	ორგანიზაციის დასახელება	მისამართი	ფართობი კვ.მ	საბალანსო ღირებულება	სარგებლობის ვადა (წელი)

1.	ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა“ ს/ნ 244973294	ჭავჭავაძის ქ. ჩიხი I, N2 ს/კ 37.07.38.536	5772.0 შენობა N1-1709.8 N2-19.4	817920.0 ლარი	5
2.	სსიპ ,,საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“ ს/ნ 204534058	კაკაბაძის ქ. N17 ს/კ37.07.38.610.01.510 ს/კ37.07.38.610.01.511	ოთახები 17.6 ; 16.0	8800.0 ლარი 7200.0 ლარი	5
3	ა(ა)იპ ,,რეაბილიტაციის ცენტრი ნაიო“ ს/ნ 412694810	გურამიშვილის ქ. ს/კ37.07.38.610.01.502 ს/კ37.07.38.610.01.503 ს/კ37.07.38.610.01.504 ს/კ37.07.38.610.	ოთახები 39.28 39.15 39.82 39.54	53 891.0 ლარი 53 314.0 ლარი 54 227.0 ლარი 53 846.0 ლარი	2
4	ა(ა)იპ ,,ხონის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ს/ნ 244968950	კაკაბაძის ქ, N17 ს/კ37.07.38.618.01.514	ოთახები: N221;N222; N223;N224; N229;N230; N231-სულ 145.5 კვ.მ	72 750.0ლარი	5
5	ა(ა)იპ ,,იურიდიული დახმარების სამსახური“ ს/კ 204534058	კაკაბაძის ქ, N17 ს/კ37.07.38.618.01.517	ოთახი N127-21.40	10 700.0 ლარი	5

2024 წელში უსასყიდლო თხოვების ფორმით გადავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შემდეგი უძრავი ქონება

N	**ორგანიზაციის დასახელება**	**მოძრავი ქონება**	**საბალანსო ღირებულება**	**სარგებლობის ვადა (წელი)**
1.	ა(ა)იპ ,,ხონის კომუნალური სერვის ცენტრი“ ს/ნ 244974337	ექსკავატორ დამტვირთველი (JCB-3CX ECO)	254 300.0 ლარი	არსებობის ვადით

2024 წელში ელექტრონული აუქციონის წესით ოჯარით გავეცით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისრტირებული შემდეგი უძრავი ქონება

N	საიჯარო ობიექტი	მისამართი	ფართობი კვ.მ	საიჯარო ღირებულება (წლიური)	სარგებლობის ვადა (წელი)
1	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი-მაღაზია N2	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	13.9	2200.0 ლარი	5
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა N1	პ. კაკაბაძის ქუჩა ს./კ 37.07.38.520	12.0	2750.0 ლარი	5
3	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი-მაღაზია N4	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	14.4	2310.0 ლარი	5
4	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი-მაღაზია N5	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	35.0	5390.0 ლარი	5
5	არასაცხოვრებელი - კომერციული ფართი-მაღაზია N3	პ. კაკაბაძის ქ. N13 ს/კ37.07.38.539.01.508	14.4	2310.0 ლარი	5
6	არასაცხოვრებელი - საოფისე ფართი-	გურამიშვილის ქ. ს/კ37.07.38.610.01.500	39.55	4565.0 ლარი	5
7	არასაცხოვრებელი - საოფისე ფართი-	პ. კაკაბაძის ქ. N17 ს/კ37.07.38.618.01.507	13.2	1584.0 ლარი	5
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. გოჩა ჯიხაიში	1800	2200.0 ლარი	5

2024 წელში საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის შესაბამისად ელექტრონული აუქციონის წესით განვახორციელეთ შემდეგი უძრავი და მოძრავი ქონების პრივატიზება

N	დასახელება	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი	შენობა-ნაგებობა	საპრივატიზებო ღირებულება ლარი
.	**სოფ. მათხოჯში** მდებარე შენობა-ნაგებობა N-ის დემონტაჟი	37.04.33.167	1185.0 კვ.მ	-----	20 375.0

2.	**ჭავჭავაძის ქუჩაზე** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.989	9.0 კვ.მ	-----	1650.0
3.	**პ. კაკაბაძის ქუჩზე** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შენობა N1	37.07.38.994	52.0 კვ.მ	N1	56000.0
4.	**რუსთაველის ქ N2-ის** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.997	1635.0 კვ.მ	-----	44990.0
5.	**რუსთაველის ქ N2-ის** მიმდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.987	12.0 კვ.მ	------	1650.0
6.	**სოფელ ღვედში** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.03.32.448	120.0 კვ.მ	-----	6600.0
7.	**ჭავჭავაძის I ჩიხში** მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	37.07.38.1020	11.0	-----	424.0

2024 წელში გაიჯარებული და პრივატიზებული ქონებების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულია-154 998.0 ლარი

ხონის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს შეიმუშვა და დაამტკიცა მდგრადი განვითარების მიზნების მუნიციპალური დოკუმენტი 2020-2030წ. მიმდინარეობს დოკუმენტში დასახული მიზნებისა და ამოცანების ეტაპობრივი შესრულება. სამუშაოების მონიტორინგს ახორციელებს ეკონომიკის, ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახური, მონიტორინგის ყოველწლიურ ანგარიშს შემდგომ განსახილველად წარუდგენს მდგრადი განვითარების მიზნების ადგილობრივ საბჭოს.

მუნიციპალიტეტს გააჩნია მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023-2027 წლის გეგმა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გეგმაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი სამუშაოები.

მიმდინარეობდა მუშაობა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირებისათვის სტატუსის მინიჭების საკითხებზე, ხორციელდებოდა მონიტორინგი. 2024 წელში შემოსული განცხადებების საფუძველზე განხორციელდა მოკვლევა და მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა 6 ადამიანს.

როგორც ცნობილია დაიწყო სოციალურად დაუცველი, შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამა, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის პირს შეუძლია 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე. აღნიშნულ პროგრამამით გათვალისწინებულ ყველა სახის მომსახურეობას (ვაკანსიის მოძიება, მონიტორინგი, დოკუმენტაციის ატვირთვა და ა.შ).2024 წელში სხვადასხვა ვაკანსიაზე დასაქმებულია 252 ადამიანი, ახალი ვაკანსიების რეგისტრაცია კი, მოთხოვნის შესაბამისად მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

ზედამხედველობის სფერო

2024 წლის ადგილობრივ მოსაკრებლებთან დაკავშირებით ჩატარდა აქტიური მუშაობა, სხვადასხვა სახის მოსაკრებლებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 89214 (ოთხოცდაცხრაათასორასთოთხმეტი) ლარი. აქედან დასუფთავების მოსაკრებელი შეადგენს 42721 ლარი (ორმოცდაორიათასშვიდასოცდაერთი) ლარს. საიჯარო

ობიექტების ქირა 18887ლარი (თვრამეტიათასრვასსოთხმოცდაშვიდი) ლარია და მიწათსარგებლობის იჯარა 27606 ლარი (ოცდაშვიდიათასექვსასექვსი) ლარი.

2024 წელში შემოვიდა განაცხადი 7-ი (შვიდი) ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე, მიღებულია შვიდივე შენობა-ნაგებობა.

საანგარიშო პერიოდში ზედამხედველობა გაეწია შემდეგი სახის პროექტებს: 2024-2025 წლების გარდამავლ პროექტებს, ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. საწულუკიძეოში, შათირიშვილებისა და დარსაველიძეების უბანში გზის რეაბილიტაცია. ქ. ხონში, გურამიშვილის ქ. II შესაქხვევში გზის მოასფალტების სამუშაოები, სოფ. გუბში მე-14 ქ. გზის მოასფალტების სამუშაოები. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. მათხოჯში გზის მოასფალტება და სოფ. ლეფილიეში ბეტონის გზის დაგება, სოფ. ივანდიდიში მინი მოედნის გარეგანათების მოწყობა, სოფ. გოჩა ჯიხაისში ცაგარეიშვილების უბანში გზის მოასფალტება. სოფ. მათხოჯში მე-10 მე-17 და მე-18 ქუჩების მოასფალტება. სოფ. კინჩხა, გორდი, ნახახულევი, მათხოჯი, კუხი ქუტირი, ივანდიდი, გოჩა ჯიხაიშში და გუბში სანაგვე ურნის შემოღობვითი სამუშაოები. ხონის დევნილთა დასახლებაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია აღდგენითი სამუშაოები. ქ. ხონში, (ჭითას მინდორის) მიმდებარე ტერიტორიაზე სკვერის რეაბილიტაცია დაზიანებული მავთულ-ბადის დემონტჟი, ატრაქციონების დემონტაჟი რეაბილიტაცია. ქ. ხონის, სამუსიკო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია. სოფ. ნახახულევში მე-5 ქუჩის მოასფალტება. ქ. ხონში, დევნილთა დასახლების მიმდებარედ ხიდ ბოგირის მოწყობა. სოფ. კონტუათში მე-3 ქუჩის ასფალტის საფარის მოწყობა. ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. პატარა ჯიხაიშში ბოკელავაძეების უბანში გზის საფარის მოასფალტება. სოფ. ნახახულევში მე-8 ქ. გზის მოასფალტება. სოფ. დედალაურში ჭოლოკავეების უბანში გზის საფარის მოასფალტება. სოფ. ზედა გორდში კოპიას უბანში გზისა და ხიდბოგირის რეაბილიტაცია. სოფ. დედალაურში კინწურაშვილების უბანში ბეტონის საფარის მოწყობა. ქ. ხონში, დევნილთა დასახლების აფხაზეთის ქუჩის რეაბილიტაცია. სოფ. მათხოჯში წყალშემკრების სისტების სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია. ქ. ხონში სანაგვე ურნების შემოღობვითი სამუშაოები. სოფ. სუხჩაში ასფალტის გზის საფარის მოწყობა. სოფ. დედალაურში ჭელიძეების უბანში გზის საფარის მოასფალტება. სოფ. ზედა გორდში, გაღმა ნოღაში, ქვედა გორდში, დედალაურში, ნამაშევში, მათხოჯში, ახალბედისეულში, უძლოურში, ნახახულევში, ქუტირში, პატარა ჯიხაისში და გელავერში გარე განათების სისტემების მოწყობა. ქ. ხონში, დევნილთა დასახლებაში სკვერის მოწყობა რეაბილიტაცია. სოფ. დედალაურში ტუნგოების დასახლებაში გზის მოასფალტება. სოფ. დიდი კუხში მინი სტადიონის გარეგანათების სისტემის მოწყობა. სოფ. ჩუნეში გზის ბეტონის გაგრძელების სამუშაოები. ქ. ხონში, დუმბაძის ქ. N I ჩიხის გზის მოასფალტების სამუშაოები. სოფ. დიდ გუბში გეგუჩაძეების უბანში საძოვრებზე და ყანებთან არსებული გზის მოხრეშვა-აღდგენითი სამუშაოები. სოფ. ღვედში სასაფლაოსთან მიმავალი გზის ბეტონის საფარის დაგება. ქ. ხონში, გეგიას I ჩიხისა და სოლომონ მე-2-ის ქუჩის I ჩიხის გზის მოასფალტება, ასევე რუსთაველის ქუჩის I შესახვევის გზის მოასფალტება. სოფ. ბანგვეთის მისასვლელი გზის ბეტონის საფარის მოწყობა. სოფ. ჩაის მეურნეობის მე-2 უბანში მდებარე N4 საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. ქ. ხონში, ცენტრალური გზის გარე განათების მოწყობა. სოფ. კინჩხაფერდიდან ასხის მთაზე მისასლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (მიმდინარე). ქ. ხონში, ბარათაშვილის N52-2-ში ნათია კერძაიას სახლის რეაბილიტაცია. სოფ. ივანდიდში ვალერიან ქათამაძის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია. სოფ. ჩაის მეურნეობის მეორე უბანში მდებარე N2 საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია. სოფ. დედალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაის მეურნეობის უბანში-მრავალბინიანი N3 საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია. სოფ. მათხოჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული შენობის დაზიანებული სახურავის ნაწილობრივი რეაბილიტაცია. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სოფ. დიდი კუხში - 9 აპრილსა და აგვისტოს ომში დაღუპულთა მემორიალის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ქ. ხონში, რუსთაველის ქ. N102-ში, მდებარე ქეთო სულაბერიძის საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია.

სოციალური სფერო

ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს ორი უფასო სასადილო: ა(ა)იპ სათნოების სახლი და ა(ა)იპ მადლიერების სახლი,სადაც ბენეფიციარები ყოველდღიურად ღებულობს სადილს. ა(ა)იპ ,,მადლიერების სახლი''(საშტატო ნუსხა შეადგენს 13 ერთეულს) სასადილო ემსახურება 130 ბენეფიციარს. 2024 წელში დაიხარჯა 158,4 ათასი ლარი.

ა(ა)იპ სათნოებისსახლი (საშტატო ნუსხა შეადგენს10 ერთეულს) სასადილო ემსახურება 140 ბენეფიციარს . 2024 წელში დაიხარჯა 174, ათასი ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,სათნოების სახლი''-სა და ა(ა)იპ ,,მადლიერების სახლი'' ემსახურება 270-ბენეფიციარს ერთჯერად კვებაზე.

- ხონის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის ხელშეწყობით ა(ა)იპ,,სათნოების სახლ''-ში 2017 წლიდან ფუნქციონირებს სოციალური სამრეცხაო, რომელიც ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარებს დღემდე.

- საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა ხონის ტერიტორიაზე მცხოვრები 65001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების, ომის ვეტერანების, მასთან გათანაბრებულ პირების, მარჩენალდაკარგულების, რესპრესირებულების, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის აფეთქების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეების ოჯახების და დევნილების კომუნალური გადასახადებზე შეღავათები: საკანალიზაციო და წყალმომარაგების. სასმელ წყალზე სულზე 1 ლარი და კანალიზაციის შემთხვევაში 1,3 ლარი. აღნიშნულზე 2024 წელში დაიხარჯა 29424 ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარება 250 -ლარის ოდენობით , 2024 წელში დახმარება გაეწია 2-ბენეფიციარს და დაიხარჯა 45000-ლარი.

- ერთჯერადი სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება და თანადაფინანსების პროგრამით დახმარება გაეწია 2000 ბენეფიციარს და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა 511369-ლარი.

- ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით განსაზღვრული 200 ლარის ოდენობით დახმარება გაეწია 50- ბავშვს, რაზეც დაიხარჯა 10000-ლარი.

- 18 წლის ზემოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გონებრივი ჩამორჩენილობის, ცერემბრალური დამბლით და დაუნის სინდრომით დაავადებულ ბენეფიციართა დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, გაეწია 105- ბენეფიციარს, სულ დაიხარჯა 21000-ლარი.

- მრავალშვილიანი (18 წლამდე 4 და მეტი ბავშვი) ოჯახის დახმარება, ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული ერთ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით. დახმარება 2024- წელში გაეწია 49-მშობელს (235- ბავშვი) დაიხარჯა 11750- ლარი. `

- მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამით გათვალისწინებული - თითეულ ბავშვზე 200ლარის ოდენობით 2024- წელში დახმარება გაეწია 45- მშობელს (91- ბავშვი) , რაზეც დაიხარჯა 18200-ლარი.

- დიალიზისა და თირკმლის ,,ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით“ გათვალისწინებული ტრანსპორტირების ყოველთვიური თანხა 200 - ლარის ოდენობით. დახმარების პროგრამაში 2024-წელში ჩართული იყო 16--ბენეფიციარი, რაზეც დაიხარჯა 33200- ლარი.
- ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო/მედიკამენტოზური მომსახურების დაფინანსება/ თანადაფინანსების პროგრამით გათვალისწინებული ყოველთვიური ფულადი დახმარება 1200-ლარი 2024 წელში გაეწია 180 -ბენეფიციარს და დაიხარჯა170781 -ლარი.

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებული ვეტერანის პროგრამით გათვალისწინებული დახმარება 2024 წელში ერთჯერადად გაიცა 1 ბენეფიციარის მიმართ 700 ლარის ოდენობით.

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა და მათთან გათანაბრებულ პირთა პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება 150 ლარის ოდენობით 2024 წელში გაეწია 3-ბენეფიციარს - რაზეც დაიხარჯა 450- ლარი.

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით 2024 წელში გაეწია 283-ვეტერანს, რაზეც დაიხარჯა 28300- ლარის ოდენობით.

- უნგრეთის, ავღანეთის ომის მონაწილე ვეტერანების და ჩერნობილის ატომური ელექტრო-სადგურის აფეთქებისას სალიკვიდაციო სამუშაოებზე მონაწილე დაზარალებულ ვეტერანთა პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით 2024 წელში გაეწია 17-ბენეფიციარს რაზეც დაიხარჯა 1700- ლარი.

- დევნილთა, უპატრონო მიცვალებულთა და ომის ვეტერანთა პროგრამით გათვალისწინებული სარიტუალო ხარჯი გარდაცვლილის ოჯახებზე 250 ლარის ოდენობით დახმარება გაეწ ია 19-ოჯახს რაზეც დაიხარჯა 4750-ლარი.

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ ვეტერანთა ოჯახებზე პროგრამით გათვალისწინებული ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით 2024 წელში გაეწია დაღუპული ვეტერანის 12- ოჯახს და დაიხარჯა 6000 ლარი.

- მხედველობით მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირებისთვის ყოველთვიური ფულადი დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია 52-ბენეფიციარს პროგრამაზე დაიხარჯა 31200-ლარი. - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვების სასმენი აპარატის (აპარატის სადენის, კვების წყარო, საშრობი ტაბლეტის) თანადაფინანსების პროგრამით გათვალისწინებული 500 - ლარის ოდენობით დახმარება გაეწია 3 ბენეფიციარს პროგრამაზე დაიხარჯა 1500 -ლარი.

- პროგრამაში ჩართული იყო 0-დან 18-წლამდე ასაკის დიაბეტით დაავადებული ბავშვები,მათი ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვრა 250-ლარით.დახმარება გაეწია 6 ბენეფიციარს და დაიხარჯა16000-ლარი.

- პროგრამაში ჩართული იყო 0-დან 18-წლამდე ასაკის ეპილეფსიით დაავადებული ბავშვები, მათი ყოველთვიური ფულადი დახმარება განისაზღვრა 250-ლარით. დახმარება გაეწია 7 ბენეფიციარს და დაიხარჯა 19000-ლარი.

- 2024 წელში სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების გაძლიერების პროგრამით გამოყოფილი იყო ერთ ბენეფიციარზე 1500 ლარი. 2024 -წელში დახმარება გაეწია 3-ბენეფიციარს და დაიხარჯა 4500-ლარი.

- მშობელთა მზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვის კანონიერ წარმომადგენელზე პროგრამით გათვალისწინებული ერთჯერადი ფულადი დახმარება 300-ლარის ოდენობით გაეწია 9 ბენეფიციარს და დაიხარჯა 27000-ლარი.

- 15-წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებული შშმ პირების ერთჯერადი სეზონური საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურეობის ფულადი დახმარება 300-ლარის ოდენობით გაეწია 2-ბენეფიციარს და დაიხარჯა 600-ლარი.

- 0-დან 15-წლამდე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების ყოველთვიური პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსება 200-ლარის ოდენობით გაეწია 14 ბენეფიციარს და დაიხარჯა 24800-ლარი.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილი ცენტრების პროგრამით გათვალისწინებული ყოველთვიური დაფინანსება 1000 ლარის ოდენობით გაეწია 2 ცენტრს, აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 24000- ლარი.

კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდული სფერო

1. კულტურა

მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს საქმიანობა კულტურის პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. მერია მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერას, განვითარებასა და პოპულარიზაციას, შემოქმედებითი პროცესების სტიმულირებას. მინდა აღვნიშნო, რომ არაერთი საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიება განხორციელდა, რომელთა მიზანი იყო კულტურული ცხოვრების აღმავლობა და განვითარება. პირველ რიგში, მინდა შევეხო ხონის თეატრალურ ცხოვრებას, რომელსაც, ჩვენდა საამაყოდ, 160 წლიანი ისტორია გააჩნია და დღემდე ღირსეულად აგრძელებს ამ ტრადიციას. თეატრის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, ყოველწლიურად იმართება რეგიონული თეატრალური ფესტივალი ,,თეატრალური იმერეთი". აღნიშნულ ფესტივალზე ხონის სახალხო თეატრის მიერ წარმოდგენილი იქნა სპექტაკლი ,,აზნაურები", დავით კლდიაშვილის მოთხრობების მიხედვით (რეჟისორი: გოჩა კაპანაძე), რომელიც უმაღლესი ჯილდოს - გრანპრის მფლობელი გახდა.

კულტურის ცენტრში ნაყოფიერად ფუნქციონირებს თოჯინების თეატრი, რომელმაც არაერთი საინტერესო სპექტაკლი და თეატრალური პერფორმანსი განახორციელა. გაიმართა საპრემიერო ჩვენება საბავშვო სპექტაკლისა ,,წუნა და წრუწუნა", რომელიც ნიღბების თეატრის 30 წლის საიუბილეო თარიღს მიეძღვნა. ასევე, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ხონის 135 წლიან სასულე ორკესტრს მერიამ და საქველმოქმედო ჰუმანიტარულმა ცენტრმა ,,აფხაზეთი" ახალი ინსტრუმენტები შეუძინეს. კულტურის ცენტრის ლიტერატურულმა წრემ, შემოქმედებით ჯგუფთან ერთად, გასვლითი ღონისძიება მოაწყო საქართველოს მწერალთა სახლში, სადაც პოეტ ირაკლი აბაშიძის 115 წლისთავისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო გამართა; ასევე უნდა აღინიშნოს კულტურის ცენტრში განხორციელებული არაერთი საინტერესო ღონისძიება, მათ შორის: ღირსების ორდენის კავალერის, საპატიო ხონელის, ქართული ენისა და ლიტერატურის ყველა დროის საუკეთესო მასწავლებლის, ქალბატონ ლიანა ღოღობერიძის 95 წლის იუბილე; დედაენის დღისადმი მიძღვნილი ორიგინალური კომპოზიცია ,,ანბანთქება".

მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა ა(ა)იპ სამუსიკო სკოლაში, სადაც ფუნქციონირებს საფორტეპიანო, სიმებიანი (გიტარა) და ფოლკლორული და საორკესტრო (საყვირი, საქსოფონი) განყოფილებები. სულ სკოლაში მუსიკალურ განათლებას იღებს 269 მოსწავლე. საანგარიშო პერიოდში, არსებული სასწავლო პროგრამების შესაბამისად, ჩატარდა დახურული კონცერტები, ღია გაკვეთილები, შემაჯამებელი ღია აკადემიური კონცერტები, წარმატებულ პედაგოგთა კლასის კონცერტები.

აღსანიშნავია, ვ. შიუკაშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებულ სენაკის ფესტივალში სამუსიკო სკოლის მოსწავლეების და ფოლკლორული ანსამბლის ,,მძლევარი“ წარმატებული მონაწილეობა, რომლებიც პირველი ხარისხის დიპლომითა და ლაურეატის წოდებებით დაჯილდოვდნენ.

ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამხატვრო სკოლაში, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს ადგილობრივ, რეგიონულ და ქვეყნის მასშტაბით გამართულ გამოფენებში. სკოლას აქვს საგამოფენო სივრცე, რაც კიდევ უფრო ზრდის და ხელს უწყობს სასწავლო, სააღმზრდელო და შემოქმედებითი პროცესის განმტკიცებასა და განვითარებას. სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: ხელოვნების ისტორია, გრაფიკა, ფერწერა, კომპოზიცია, ძერწვა, კერამიკა, თექა (ხალხური რეწვა). სკოლაში სახვითი ხელოვნების მიმართულებით განათლებას იღებს 107 მოსწავლე, სასწავლო პროცესს უძღვება 7 პედაგოგი.

საანგარიშო პერიოდში ნაყოფიერად მუშაობდა ა(ა)იპ ისტორიული მუზეუმი, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის პოლიკარპე კაკაბაძის, ირაკლი აბაშიძის სახლ - მუზეუმები და საბრძოლო დიდების მუზეუმი. დღეისათვის მუზეუმის ფონდების საერთო რაოდენობაა - 25 000. არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა ისტორიულ მუზეუმში, აღინიშნა მუზეუმების საერთაშორისო დღე; მოეწყო 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა, 8 აგვისტოს ომში დაღუპულ ხონელ გმირებზე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ღია გაკვეთილი; ასევე, მოეწყო დამოუკიდებელი საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრ აკაკი ჩხენკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

საანგარიშო პერიოდი ნაყოფიერი იყო საბიბლიოთეკო ქსელისათვის, რომლის დაქვემდებარებაშიც შედის 17 ბიბლიოთეკა. წლის მანძილზე ბიბლიოთეკები მოემსახურა 1060 მკითხველს, რომლებზეც გაცემულია 7673 ცალი წიგნი და ჟურნალ-გაზეთი. სააბონენტო განყოფილება შეივსო ახალი ავეჯითა და ახალი წიგნებით. ახალი წიგნები გადაეცა კუხის, ახალბედისეულის, სუხჩისა და გორდის სასოფლო ბიბლიოთეკებს. სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირებულობისა და წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, ბიბლიოთეკაში სისტემატურად ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიება: წიგნის პრეზენტაცია, პოეზიის საღამოები, კინოჩვენებები, ღია კარის დღე საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელებისთვის. აღსანიშნავია, რომ ბიბლიოთეკებში ეტაპობრივად მიმდინარეობს მუშაობა ფონდის ელექტრონულ კატალოგიზაციაზე. მომხმარებელს შეუძლია შევიდეს ბიბლიოთეკის გვერდზე, ჩაწეროს მისთვის სასურველი წიგნი არის თუ არა ბიბლიოთეკაში და შეუძლია დაჯავშნოს კიდეც. ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ გააუმჯობესა მომხმარებელთან მუშაობის ხარისხი და ხელი შეუწყო უკეთ მომსახურებას. ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მთავარ ბიბლიოთეკაში ტარდება სემინარული მუშაობა სასოფლო ბიბლიოთეკის ბიბლითეკარებისათვის.

საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები განხორციელდა კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით, მათ შორის აღსანიშნავია: პრემიერის ინიციატივით საახალწლო-საშობაო ღონისძიება ხონის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ადგილობრივ შემსრულებლებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს თბილისიდან მოწვეულმა ცნობილმა ბენდებმა. ღონისძიება დატვირთული იყო არაერთი საახალწლო შოუ პროგრამით და აქტივობით, მოეწყო საახალწლო სოფელი, სადაც გაიმართა ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქტისა და ხელოვანთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. გამომდინარე იქიდან, რომ 2024 წელს აღდგომის დღეებს დაემთხვა ,,ხონელობა“, ვერ მოხერხდა ტრადიციული სახალხო დღესასწაულის აღნიშვნა. სიამაყით უნდა აღინიშნოს ხონის სალოტბარო სკოლის მოსწავლეთა წარმატებული მონაწილეობა არაერთ ღონისძიებაში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საფრანგეთში, ლევილის ქართულ ფესტივალში მონაწილეობა, ასევე, უნდა აღინიშნოს სალოტბარო სკოლის წარმატებული სოლო კონცერტი თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში და სალოტბარო სკოლების 10 წლის საიუბილეო საღამოზე მონაწილეობა, რომელიც ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში გაიმართა.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიება: საზეიმოდ მოეწყო ქალაქის ცენტრალური მოედანი, განთავსდა თემატური, ისტორიული კუთხეები და ბავშვთა გასართობი სივრცეები, თავდაცვის ძალების სამხედრო ტექნიკა; მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა და სხვა აქტივობები. ღონისძიების ბოლოს გაიმართა ადგილობრივი და თბილისიდან მოწვეული მუსიკოსების კონცერტი.

საანგარიშო პერიოდში, პირველად, ხონში, მე-12 კლასელებისთვის გაიმართა ბოლო ზარის მასშტაბური ღონისძიება. პედაგოგებმა და მოსწავლეებმა ერთად დაუვიწყარი შემოქმედებითი საღამო გამართეს. მოეწყო ფერების ფესტივალი, ღონისძიების ბოლოს გაიმართა კონცერტი გიორგი ცხადაძისა და ბენდის ,,4 +2" და დიჯეი გიგა პაპასკირის მონაწილეობით.ასევე, ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ტურიზმის განვითარების მიზნით, ხონმა უმასპინძლა ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალს, რომელშიც, ადგილობრივ ფოლკლორულ და ქორეოგრაფიულ ანსამბლებთან ერთად, მონაწილეობდნენ ინდონეზიის, სომხეთის, ირანის, თურქეთის, ბელორუსიისა და ლატვიის შემოქმედებითი ჯგუფები. გაიმართა არაერთი საინტერესო მუსიკალური პროექტი, მათ შორის უნდა აღინიშნოს გელა დონაძისა და ანუკი ცქვიტინიძის კონცერტი (წამყვანი: მაია დათუნაშვილი). კონცერტი -,,ლაშა ღლონტი ოჯახთან ერთად", ლეგენდალური ანსამბლ ,,ქართული ხმების" საიუბილეო კონცერტი, რომელიც მიეძღვნა ანსამბლის დაარსებიდან 35 წლისთავს. ასევე, მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით განხორციელდა საინტერესო პროექტი - ,,მთის დღეები გორდში". დადიანების ტყე-პარკში ,,მთის დღეების" ფარგლებში მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ადგილობრივი კულინარიის გაკვეთილები და დეგუსტაცია. მთის ერთგულებისა და მის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დაჯილდოვდნენ: დეკანოზი იოანე (გედენიძე), პედაგოგი მაყვალა ამბროლიანი და სპორტსმენი ბაქარ გელენიძე.

2. განათლება

მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმიანობისათვის ხელშეწყობა. საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრუქტურაში ბავშვთა აღზრდის საქმეს ემსახურება 20 საბავშვო ბაღი. აღსაზრდელი - 596, აღმზრდელი - 72, აღმზრდელის თანაშემწე - 36.

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით გამოწვევები ეტაპობრივად ხორციელდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდულების შესაბამისად გადამზადდა 25 თანამშრომელი - აღმზრდელი, გამგე, ფსიქოლოგი, ლოგოპედი.

საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება ჩართული იყო განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, რომელიც ემსახურებოდა ავტორიზაციის ოთხი სტანდარტის მიხედვით დოკუმენტაციის წარმოების წესის შესწავლას. წელს ავტორიზაციას გაივლის: ქალაქის N1 საბავშვო ბაღი, ქალაქის N2 და N3 საბავშვო ბაგა-ბაღები.

გარემოს დაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში ,,მწვანე ჯილდო" ხონის მუნიციპალიტეტიდან გაიმარჯვა ქალაქის მე-3 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელმა ნინო კუჭავამ, რომელსაც გადაეცა სამახსოვრო დიპლომი და ფულადი ჯილდო. ასევე, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის, კურიკულუმის დანერგვა, ადგილობრივი სტრატეგიები წარმატებისათვის" შემაჯამებელ კონფერენციაში მონაწილეობდნენ და მოხსენებით გამოვიდნენ ქალაქის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის აღმზრდელი ნათელა ტყაბლაძე და ქუტირის საბავშვო ბაღის აღმზრდელი გულო ბუაძე. სააღმზრდელო წლის ბოლოს საბავშვო ბაღებში გაიმართა ტრადიციული პროექტი ,,ვემშვიდობებით ბაღს".

სკოლისგარეშე საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლე - ახალგაზრდობის ჩაბმის მიმართულებით საინტერესო მუშაობას ახორციელებდა ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლი, რომელიც თავისი სტრუქტურით ემსახურება ბავშვებისა და სასკოლო ასაკის მოზარდების არასასწავლო თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და სკოლისგარეშე განათლების მიღების საქმეს, რასაც ერთიანობაში ახალგაზრდა თაობის არაფორმალური განათლება ჰქვია. 2024 წელს საწრეო მუშაობასთან ერთად განხორციელდა სხვადახვა პროექტი, ჩატარდა პოეზიის საღამო, მოეწყო გამოფენები, გაიმართა ინტელექტუალური და ფოტო კნკურსები.

მოსწავლეთა კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის შესწავლას ემსახურება ა(ა)იპ ხონის ინფორმატიკის ცენტრი. ფაქტია, რომ ხშირ შემთხვევაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა დასაქმების აუცილებელი პირობაა. ცენტრში სწავლება მიმდინარეობს უფასოდ. პრიორიტეტი ენიჭებათ სოციალურად დაუცველ ბავშვებს. ინფორმატიკის ცენტრი ეხმარება მოსწავლეებს მარტივად მოიძიონ დამხმარე ინფორმაცია სასკოლო დავალებების შესასრულებლად და მარტივად განაგრძონ ურთიერთობა ახალ ციფრულ სამყაროში.

სასკოლო ასაკის მოზარდების არასასწავლო პერიოდში თავისუფალი დროის გონივრული გამოყენებისა და განათლების მიღების საქმეს მრავალი მიმართულებით ემსახურება სკოლისგარეშე მრავალპროფილიანი საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულება - ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე - ახალგაზრდობის ცენტრი. ცენტრში სწავლობს 500-ზე მეტი მოსწავლე. საანგარიშო პერიოდში არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა, აღსანიშნავია, საბავშვო თოჯინების თეატრის პრემიერა სპექტაკლით ,,მკვეხარა მამალი".

გაიმართა სხვადასხვა კონკურსი, ვიქტორინა, ჩატარდა პოეზიის საღამოები, აღინიშნა ქართული ენის დღე, მონაწილეები დაჯილდოვდნენ ექსკურსიით.

საანგარიშო პერიოდში წარმატებით განხორციელდა სოციალურ-საგანმანათლებლო მედია პროექტი - ,,ეტალონი". სიახლე იყო ის რომ, პროექტი ჩატარდა გუნდური პრინციპით. ,,ხონის ეტალონი გუნდის" ტიტული მოიპოვა მე-2 საჯარო სკოლის გუნდმა და დასაჩუქრდა ერთდღიანი ექსკურსიით.

3. სპორტი

მერიის ძალისხმევით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით, განხორციელდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. საანგარიშო პერიოდში გაიმართა აგვისტოს ომში დაღუპული მერაბ თუთისანის სახელობის ტურნირი კალათბურთში; ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტურნირი ფრენბურთში; ადმინისტრაციულ ერთეულებში - უბნებს შორის პირველობა ფეხბურთში; საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციის ორგანიზებითა და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა მოყვარულთა ლიგის გათამაშება დიდ ფეხბურთში 11 X 11, მუნიციპალიტეტში გამარჯვებულმა გუნდმა - „მგლებმა" მონაწილეობა მიიღო რეგიონულ პირველობაზე; ხონის მუნიციპალიტეტის გუნდი „ხონი" მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოს საფეხბურთო ტურნირ „BETLIVE MASTER LEAGUE-ის" გათამაშებაში. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა ომის ვეტერანებს შორის ტურნირი ნარდსა და შაშში. 17 ოქტომბერს, ვეტერანთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გაიმართა სპორტული შეჯიბრი ნარდსა და შაშში, ხოლო 23 ივნისს, ოლიმპიზმის დღესთან დაკავშირებით, მოეწყო ,,საფეხბურთო ფესტივალი „ხონი 2024" (გოგონებს შორის). აღნიშნულ ფესტივალში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის გოგონათა საფეხბურთო გუნდები. გაიმართა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა სპორტის სხვადასხვა სახეობაში (მინიფეხბურთი, ფრენბურთი, გეზრბენი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი). აღნიშნულ ოლიმპიადაში მუნიციპალურ ეტაპზე გამარჯვებული სკოლის გუნდები მონაწილეობას ღებულობდნენ რეგიონულ პირველობაზე. ასევე, ჩატარდა საცხენოსნო დოღი ქუტირისა (პ.ჯიხაიში) და კუხის ადმინისტრაციულ ერთეულებში; უნდა აღინიშნოს, რომ ხონელი წარმატებული სპორტსმენებისათვის დაწესდა რობერტ შავლაყაძის სახელობის ყოველთვიური სტიპენდია. აღნიშნული სტიპენდია, ერთი წლის განმავლობაში, უკვე დაენიშნათ ძალოსნებს: მარიამ მურღვლიანს, ოთარ ბზიკაძეს და შოთა კაკაბაძეს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ კომპლექსური სასპორტო სკოლა - 506 აღსაზრდელით, 23 მწვრთნელითა და 10 სახეობის სპორტული ჯგუფით. ეს ჯგუფებია: ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, კარატე, კარატე დო, კრივი, ტაეკვანდო, ძალოსნობა, ჭადრაკი და თავისუფალი ჭიდაობა. აღნიშნულ ჯგუფებში ჩარიცხული მოსწავლეები პერიოდულად მონაწილეობას ღებულობენ როგორც საქართველოს მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და ფესტივალებში, ასევე საერთაშორისო ეგიდით გამართულ ჩემპიონატებში. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ ხონის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის მოსწავლემ, ძალოსანმა მარიამ მურღვლიანმა (სტიპენდიანტი) ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებში ერთი ვერცხლის (ატაცი) და ერთი ბრინჯაოს (ორჭიდი) მედალი მოიპოვა, ხოლო პოლონეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ახალგაზრდებში - სამი ოქროს მედალი, ასევე არის საქართველოს ჩემპიონი 20 წლამდელებში, 23 წლამდელებსა და დიდებში - მწვრთნელი აკაკი კაკაბაძე; ძალოსანმა შოთა კაკაბაძემ (სტიპენდიანტი) საქართველოს ჩემპიონატზე U15 - ში ორი ოქრო და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვა, ასევე 23 წლამდელებსა და დიდებში სამი ბრინჯაოს მედალი; რაც შეეხება საბერძნეთში გამართულ ჭაბუკთა ევროპის ჩემიონატზე ერთი ბრინჯაოს (აკვრა) მედალი მოიპოვა - მწვრთნელი აკაკი კაკაბაძე. ძალოსანმა ოთარ ბზიკაძემ (სტიპენდიანტი) საქართველოს ჩემპიონატზე U 15 – ში ერთი ოქრო (ატაცი) და ორი ვერცხლის მედალი (აკვრა, ორჭიდი) მოიპოვა - მწვრთნელი აკაკი კაკაბაძე; ასევე, სასპორტო სკოლის თავისუფალი ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლეებმა საქართველოს პირველობაზე: იაკობ ჩხეიძემ - მეორე ადგილი, რომან ჯიბუხაიამ - მეორე ადგილი და საბა რუხაძემ - მესამე ადგილები დაიკავეს; იაკობ ჩხეიძემ რუმინეთში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი მოიპოვა, ხოლო ბუქარესტში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში რომან ჯიბუხაია პირველი ადგილის მფლობელი გახდა - მწვრთნელები მიხეილ ბალავაძე და გოჩა ახალაძე; საქართველოს ტაეკვანდოს ღია ჩემპიონატზე ბარბარე ჯაიანმა პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო საქართველოს ჩემპიონატზე ნინო ღაღანიძემ პირველი ადგილი - მწვრთნელი ნუგზარი გრიგოლია; კინგბოქსინგში საქარველოს ჩემპიონატზე ილია გელენიძემ პირველი ადგილი დაიკავა - მწვრთნელი გელა ჩიხლაძე; სასპორტო სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ქვიშის ფრენბურთში მესამე ადგილი დაიკავა - მწვრთნელი ალიკო ვეკუა; სასპორტო სკოლის

ფეხბურთელთა გუნდმა ჯუმბერ ხაჟალიას თასის გათამაშებაზე u15 - ში პირველი ადგილი დაიკავა - მწვრთნელები დავით ჭელიძე და დავით გოდერიძე; სასპორტო სკოლის სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეები გამარჯვებული არიან საქართველოში ჩატარებულ სხვადასხვა ტურნირებსა და ფესტივალებში. სასპორტო სკოლის ინიციატივით ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება, მათ შორის - სასკოლო ოლიმპიადა ასაკობრივ ჯგუფებში (სპორტის 6 სახეობაში), ასევე, გარდაცვლილი სპორტსმენების ხსოვნის ტურნირები შემდეგ სახეობებში: კონსტანტინე (ბაგა) ჩაკვეტაძის სახელობის - ფეხბურთში, ტარიელ (ტალიკო) ჯაფარიძის სახელობის _ კალათბურთში, ლერი და მამუკა ჩხენკელების სახელობის - მძლეოსნობაში, თამაზ გეგუჩაძის სახელობის - კალათბურთში (ბიუჯეტი 400 000 ლარი). მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „იმერეთი“|.აღნიშნული კლუბი მონაწილეობას ღებულობდა რეგიონულ ლიგაში (ფეხბურთში). კლუბი დაფინანსდა ფეხბურთის განვითარების ფონდიდან 50 000 ლარით.

4. ახალგაზრდული საქმე

სამსახურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და პროექტების ხელშეწყობა. საანგარიშო პერიოდში საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით მოეწყო ფოტოკონკურსი „იპოს“ გამოფენა; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის აღნიშვნა; ფეინთბოლის ჩემპიონატი; 2024 წლის ეროვნულ გამოცდებზე ხონის მუნიციპალიტეტიდან სამმა ახალგაზრდამ (ანი ქურასბედიანი - სსიპ ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის N3 საჯარო სკოლა, მარიამ ჩიქოვანი- მე-4 საჯარო სჯოლა, ნინო მეშველიანი - მოსე ხონელის N1 საჯარო სკოლა) მოიპოვა სრული დაფინანსება (100% გრანტი). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ხონელი წარმატებული სტუდენტებისათვის დაწესდა ივანე შარაშიძის სახელობის სტიპედია.

5. ტურიზმი

2024 წელს ტურისტულ ზონებში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა: ოკაცეს კანიონი - 27 292, კინჩხის ჩანჩქერი - 17 925.